საჯარო სამართლის იურიდიული პირი
საზოგადოებრივი მაუწყებელი
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

თბილისი

2017 წლის 2 ნოემბერი № 251

თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" მიერ წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების მიზნით ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის ტარიფების დამტკიცების და არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო სარეკლამო დროის განსაზღვრის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის "საქართველოს საარჩევო კოდექსი" 50-ე და 51-ე მუხლების, ასევე, "მაუწყებლობის შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-7 პუნქტის და სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" დებულების მე-5 მუხლის 5.3.2. ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. თვითმმართველი ქალაქის/თვითმმართველი თემის მერის 2017 წლის 21 ოქტომბრის არჩევნების მეორე ტურთან დაკავშირებით სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" ეთერში ფასიანი წინასაარჩევნო რეკლამის განთავსების ტარიფები განისაზღვროს თანდართული სახით.
2. არაკვალიფიციური საარჩევნო სუბიექტებისათვის უფასო სარეკლამო დრო სსიპ "საზოგადოებრივი მაუწყებლის" პირველი სატელევიზიო, ასევე რადიოარხზე FM102.4 განისაზღვროს თითო არაკვალიფიციური სუბიექტისთვის 15 წმ ოდენობით 9:00 სთ-დან 10:00 სთ-მდე, 14:00 სთ-დან 15:00 სთ-მდე და 19:00 სთ-დან 20:00 სთ-მდე პერიოდში.
3. წინამდებარე ბრძანება ძალაშია 2017 წლის 2 ნოემბრიდან 2017 წლის 12 ნოემბრამდე.

დანართი 1 ფურცლად

გენერალური დირექტორის
მოვალეობის დროებით შემსრულებელი ნოდარ ჭიჭინაძე

მაუწყებლის მიერ გამოყოფილი, ფასიანი პოლიტიკური რეკლამის შესახებ ინფორმაცია

წინასაარჩევნო აგიტაციისა და წინასაარჩევნო (პოლიტიკური) ფასიანი რეკლამის განთავსებისთვის საეთერო დრო გამოყოფილია 2017 წლის 2 ნოემბრიდან 12 ნოემბრამდე საზოგადოებრივი მაუწყებლის 1 არხზე ერთი დღის განმავლობაში გამოყოფილი საეთერო დროის ხანგრძლივობა, ფასიანი პოლიტიკური რეკლამისთვის შეადგენს 18 წუთს, ხოლო რადიო FM 102.4 15 წუთს.
ფასი მოცემულია ლარში და ითვალისწინებს დღგ-ს.

სარეკლამო დროის ტარიფი:

1 არხი			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია *(1 წთ. ფასი ლარებში) დღგ-ს ჩათვლით*	
		გადაცემამდე	გადაცემაში
07:27-11:59	ორშაბათი - კვირა	850	850
12:00-17:59	ორშაბათი - კვირა	1 000	1 000
18:00-00:59	ორშაბათი - კვირა	5 000	5 000
01:00-02:00	ორშაბათი - კვირა	550	550

რადიო FM 102.4			
პროგრამის გასვლის დრო	გასვლის დღე	ბლოკის პოზიცია *(1 წთ. ფასი ლარებში)დღგ-ს ჩათვლით*	
		გადაცემამდე	გადაცემაში
07:27-11:59	ორშაბათი - კვირა	200	200
12:00-16:59	ორშაბათი - კვირა	150	150
17:00-20:59	ორშაბათი - კვირა	250	250
21:00-02:00	ორშაბათი - კვირა	120	120

„2“ ნოემბერი 2017 წ.

სსიპ “საზოგადოებრივი მაუწყებელი”

გენერალური დირექტორის მოვალეობის
დროებით შემსრულებელი

ნოდარ ჭიჭინაძე